



საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების  
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

მიმართულებების მოკლე დესკრიფცია

მაგისტრანტობის კანდიდატს მოეთხოვება სათანადო მინიმალური უნარ-ჩვევებისა და ცოდნის გამოვლენა შემდეგი მიმართულებებით:

- საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია;
- საერთაშორისო ურთიერთობების თეორია;
- საერთაშორისო ორგანიზაციების ისტორია და სტრუქტურა;
- საქართველოს პოლიტიკური სისტემა;
- საერთაშორისო პოლიტიკის უახლესი ისტორია: მეორე მსოფლიო ომი, „ცივი ომი“;
- საერთაშორისო უსაფრთხოების პროცესებზე ზოგადი ინფორმაცია.

ესსების ჩამონათვალი:

1. ისაუბრეთ გლობალური გავლენის ცენტრების ანუ სუპერ-სახელმწიფოების რაობაზე და მათ ფაქტორზე მსოფლიო პოლიტიკაზე (დააფიქსირეთ თქვენი მოსაზრებები და შეფასებები დღევანდელი საერთაშორისო პოლიტიკის მოვლენებზე);
2. როგორია მორალის და ეთიკის ფაქტორი საერთაშორისო ურთიერთობების პროცესებზე (მოიყვანეთ თქვენი არგუმენტები);
3. ისაუბრეთ კომუნიზმის ფენომენზე და მის გავლენაზე მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებზე (აღწერეთ თქვენი მოსაზრებებით);
4. ისაუბრეთ ძალის ფაქტორზე საერთაშორისო ურთიერთობების პროცესებზე ზოგად კონტექსტში (მოიყვანეთ თქვენი მოსაზრებები და შეფასებები);
5. რას წარმოადგენს ნატო და რა როლი გააჩნია ამ ორგანიზაციას საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში (მოიყვანეთ კონკრეტული ფაქტები);
6. ისაუბრეთ გაეროს შექმნის მიზეზებზე და მის როლზე საერთაშორისო ურთიერთობების პროცესებზე, თუნდაც თანამედროვე პირობებში (აღწერეთ თქვენი მოსაზრებები);
7. მსოფლიო წესრიგის რაობა და როგორ განისაზღვრება მისი კომპონენტები (დააფიქსირეთ თქვენი მოსაზრებები და მოიყვანეთ არგუმენტები);
8. საერთაშორისო ტერორიზმი: 21-ე საუკუნის ახალი თუ ძველი გამოწვევა??? (დააფიქსირეთ თქვენი მოსაზრებები და მოიყვანეთ არგუმენტები).
9. ისაუბრეთ საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინის ჩამოყალიბებაზე და თეორიების როლზე საერთაშორისო ურთიერთობებში (დააფიქსირეთ თქვენი მოსაზრება);
10. განმარტეთ ეროვნული ინტერესის ცნება და რა გავლენას ახდენს უსაფრთხოების დილემა თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებზე? (დააფიქსირეთ თქვენი მოსაზრებები);
11. თანამედროვე პერიოდში საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში რა როლი აკისრია საინფორმაციო უსაფრთხოებას და რა ზეგავლენას ახდენს კიბერომი: 21-ე საუკუნის გეოპოლიტიკურ პროცესებზე (მოიყვანეთ კონკრეტული ფაქტები);
12. ისაუბრეთ საერთაშორისო ჰუმანიტარულ ჩარევაზე და საერთაშორისო ანტიტერორისტულ ოპერაციებზე (მოიყვანეთ თქვენი მოსაზრებები და შეფასება).
13. ჰიბრიდული ომისა და რბილი ძალის ფაქტორი თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოებაში (დააფიქსირეთ თქვენი მოსაზრებები);
14. ისაუბრეთ კორონავირუსის (COVID-19-ის) გავლენაზე მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებზე (აღწერეთ თქვენი მოსაზრებებით).



ლიტერატურული წყაროები საგამოცდო საკითხებისთვის:

1. არტი ჯერვისი „საერთაშორისო პოლიტიკა: მუდმივი ცნებები და თანამედროვე საკითხები“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2011 წელი;
2. ალექსანდრე რონდელი „საერთაშორისო ურთიერთობები“, მესამე განახლებული გამოცემა, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2006 წელი;
3. ზურაბ აბაშიძე „ცივი ომი“: წარსული თუ დღევანდელი?“, თბილისი, 2009 წელი;
4. ვახტანგ მასიაია „საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები და დეტერმინანტები „ცივი ომის“ შემდეგ (1991-2004)“, სახელმწიფო სუბიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი, თბილისი, 2013 წელი;
5. ნიკა ჩიტაძე „გეოპოლიტიკა“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2012.
6. ეკა აკობია „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“, გამომცემლობა „სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი“, თბილისი, 2006.
7. ენდრიუ ჰეივუდი „პოლიტიკა“ მესამე გამოცემა, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2008.
8. ედიშერ გვენეტაძე „საერთაშორისო უშიშროების ასპექტები“, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2017.
9. გუგული მალრაძე, ვახტანგ მასიაია 21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია: მითი და რეალობა - რეგიონული და გლობალური ასპექტები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2017.

გამოცდის ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები:

საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამაზე ჩასარიცხად სპეციალობაში ჩატარდება წერილობითი გამოცდა.

შეფასების კრიტერიუმებია:

- 15 ღია ტიპის კითხვა - სულ 15 ქულა;
- 5 დახურული ტიპის კითხვა - სულ 5 ქულა.  
სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველებმა ბარიერის გადასალახად უნდა მიიღონ მინიმუმ 8 ქულა.
- გამოცდაზე წარმოდგენილი 4 ესედან უნდა ამოირჩიოთ ერთი და შეადგინოთ არგუმენტირებული ტექსტი არანაკლებ ერთი გვერდისა; მაქსიმალური შეფასება - 10 ქულა, მინიმალური - 5 ქულა.  
მაქსიმალური შეფასება არის 30 ქულა.

გამოცდა ჩაბარებულად ჩაითვლება ღია და დახურული ტიპის კითხვებში მინიმალური 8 ქულისა და არგუმენტირებულ ესეში მინიმალური 5 ქულის მიღების შემთხვევაში.